სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/96

ქ. თბილისი 21 ივლისი 2026წ

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის, ფაკულტეტის 2026 წლის 09 აპრილის საბჭოს სხდომის №10 ოქმის (ამონაწერი 1, ამონაწერი 2) და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 21 ივლისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
1.1 ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“.
1.2 მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2027-2028 სასწავლო წლიდან.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**